

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 სექტემბრის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 28.09.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 სექტემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 28.09.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 სექტემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 28.09.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №38 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №40 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

მუხლი 3. საქართველოს ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიატების ტარიფები

მარეგულირებელ სადგურად მიჩნეული ელექტროსადგურების წარმოებული ელექტროენერჯის გასაყიდი ფიქსირებული ტარიფები:

ა) შპს „ენგურჰესი“ – 1.818 თეთრი/კვტსთ; (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

ბ) შპს „ვარდნილჰესების კასკადი“ – 4.002 თეთრი/კვტსთ. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 22.12.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 14 დეკემბრის დადგენილება №27 - ვებგვერდი, 22.12.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №36 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

თავი II

ელექტროენერჯის გადაცემის, დისპეტჩერიზაციისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფები

მუხლი 4. ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები

1. ელექტროენერჯის გადაცემის ფიქსირებული ტარიფები:

ა) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ – 1.323 თეთრი/კვტსთ; (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

ბ) სს გეს „საქრუსენერგო“ – 0.278 თეთრი/კვტსთ; (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

გ) შპს „ენერგოტრანსი“ – 0.380 თეთრი/კვტსთ. (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

2. ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციის ფიქსირებული ტარიფი – სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ :

ა) 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 მაისამდე – 0.092 თეთრი/კვტსთ;

ბ) 2018 წლის 1 მაისიდან 2021 წლის 1 იანვრამდე – 0.412 თეთრი/კვტსთ.

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

3. (ამოღებულია - 19.12.2017; №42). (ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 29 აგვისტოს დადგენილება №8 - ვებგვერდი, 02.09.2013 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 23 იანვრის დადგენილება №4 - ვებგვერდი, 27.01.2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 31.07.2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 27 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №36 - ვებგვერდი, 28.12.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №37 - ვებგვერდი, 28.12.2015 წ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №29 - ვებგვერდი, 27.12.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 27.12.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №41 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 19 დეკემბრის დადგენილება №42 - ვებგვერდი, 22.12.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 25 დეკემბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 26.12.2017 წ.

მუხლი 5. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ტარიფი

1. ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის მომსახურების ფიქსირებული ტარიფი – შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მომსახურების ტარიფი – 0.019 თეთრი/კვტსთ.

2. შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მომსახურების საფასური ანაზღაურდება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 დეკემბრის დადგენილება №37-სსმIII, №183,25.12. 2008წ., მუხ.1875

მუხლი 6. ელექტროენერჯის იმპორტის (გაცვლის შემთხვევაში იმპორტის) ტარიფები

1. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტისას კვალიფიციური საწარმოსთვის იმპორტის (გაცვლის შემთხვევაში იმპორტის) ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$T = (T_{\text{იმპ.}} \cdot X_E + U_{\text{საბ.}} + U_{\text{მომს.}} + U_{\text{რეგ.}} + U_{\text{ბანკ.}}) / E,$$

- სადაც :
- T – იმპორტირებული ელექტროენერჯის ზღვრული ტარიფი (ლარი /კვტსთ);
- $T_{\text{იმპ.}}$ – შესაბამისი იმპორტის ხელშეკრულებით განსაზღვრული ელექტროენერჯის ფასი (ლარი/კვტსთ) ან ელექტროენერჯის გაცვლის კოეფიციენტი ;
- E – ფაქტობრივად იმპორტირებული ელექტროენერჯის რაოდენობა (კვტსთ);
- $U_{\text{საბ.}}$ – საბაჟო მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასური (ლარი);
- $U_{\text{რეგ.}}$ – რეგულირების საფასური (ლარი);
- $U_{\text{მომს.}}$ – შპს „ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის “ მომსახურების საფასური (შპს „ ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის “ მიერ განხორციელებული იმპორტის შემთხვევაში $U_{\text{მომს.}} = 0$);
- $U_{\text{ბანკ.}}$ – საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტის უზრუნველსაყოფად , კვალიფიციური საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსთვის წარდგენილი საბანკო გარანტიის მომსახურების საფასური (ლარი).

1. ამ მუხლის მიზნებისთვის, პირველ პუნქტში მითითებული საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორი თვის იმპორტის სახელშეკრულებო ღირებულების ჯამს. ამასთან, საბანკო გარანტიის საზღაური პირველი საანგარიშო პერიოდისათვის არ უნდა აღემატებოდეს საგარანტიო თანხის 0,50%-ს, ხოლო ყოველი მომდევნო საანგარიშო პერიოდისათვის საგარანტიო თანხის – 0,20%-ს. იმპორტის დაწყებამდე გაწეული საბანკო გარანტიის ყველა ერთჯერადი ფაქტობრივი ხარჯი აისახება იმპორტის განხორციელების პირველ საანგარიშსწორებო პერიოდში, ხოლო საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა ხარჯი იმპორტის ტარიფში აისახება მათი ფაქტობრივად გაწევის საანგარიშო პერიოდების შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ადგილი აქვს ელექტროენერჯის დაუგეგმავ (არა უმეტეს 300000კვტს) გადმოდინებას და ამავე საანგარიშო პერიოდში არ არსებობს (არ მოქმედებს) ხელშეკრულება ელექტროენერჯის იმპორტზე შესაბამისი სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ხაზის გამოყენებით და იმპორტიორის სათანადო განაცხადი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიმართ, მაშინ ასეთი ელექტროენერჯის სახელშეკრულებო ფასი ($T_{იმპ}$)

უნდა იყოს ტოლი :

ა) ყოველი კალენდარული წლის 1 სექტემბრიდან 1 მაისამდე – წარმოების იმ ლიცენზიატის ტარიფის ზედა ზღვრის, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე მაღალი ტარიფი ;

ბ) ყოველი კალენდარული წლის 1 მაისიდან 1 სექტემბრამდე – ფიქსირებული ტარიფის მქონე წარმოების იმ ლიცენზიატის ტარიფის, რომელსაც კომისიის მიერ დადგენილი აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი .

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 24 ივნისის დადგენილება №9-სსმIII, №76, 30.06.2010წ., მუხ.1108

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 08.04.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 26 ნოემბრის დადგენილება №32 - ვებგვერდი, 27.11.2015 წ.

თავი III

ელექტროენერჯის გატარებისა და განაწილების ტარიფები

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №21 - ვებგვერდი, 27.08.2014 წ.

მუხლი 7. გატარების ტარიფები

1. (ამოღებულია - 13.03.18 №2); (ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).

2. (ამოღებულია - 13.03.18 №2); (ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).

3. ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატის მიერ მის მფლობელობაში არსებული ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერჯის გატარების ტარიფები განისაზღვროს ამ დადგენილებით მისთვის განსაზღვრული ელექტროენერჯის განაწილების ტარიფების დონეზე. (ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №21 - ვებგვერდი, 27.08.2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 04.09.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 30.12.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №3 8- ვებგვერდი, 30.12.2016 წ.



დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 30.12.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 30.12.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №49 - ვებგვერდი, 28.12.2017 წ.

თავი IV

ელექტროენერჯის სამომხმარებლო ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

მუხლი 10. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „თელასის“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) - 18.067 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 14.307 თეთრი/კვტსთ;

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

გ) 35-110 კილოვოლტი - 13.653 თეთრი/კვტსთ.

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის N1187-III კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ¹“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე).

დ) 35-110 კილოვოლტი - 13.653 თეთრი/კვტსთ.

(მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, სს „თელასის“ აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 12.325 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 15.725 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 19.525 თეთრი/კვტსთ.

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 3 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 04.04.2013 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 3 სექტემბრის დადგენილება №26 - ვებგვერდი, 04.09.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №38- ვებგვერდი, 30.12.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №48 - ვებგვერდი, 28.12.2017 წ.



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 30 მაისის დადგენილება №7 - ვებგვერდი, 30.05.2018 წ.

მუხლი 11. ამოღებულია

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №49 - ვებგვერდი, 28.12.2017 წ.

მუხლი 11¹. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) - 17.867 თეთრი/კვტსთ;

ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი - 13.772 თეთრი/კვტსთ;

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

გ) 35-110 კილოვოლტი - 12.593 თეთრი/კვტსთ.

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2017 წლის 30 ივნისის N1187-III კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ¹“ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე).

დ) 35-110 კილოვოლტი - 12.593 თეთრი/კვტსთ.

(მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით - 12.065 თეთრი/კვტსთ;

ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით - 15.435 თეთრი/კვტსთ;

გ) 301 კვტსთ-დან და მეტი - 19.265 თეთრი/კვტსთ.

(ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 21 ივნისის დადგენილება №7-სსმIII, №72, 21.06.2010წ., მუხ.1058

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2012 წლის 27 დეკემბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 28.12.2012 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2013 წლის 3 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 04.04.2013 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 22 აგვისტოს დადგენილება №21 - ვებგვერდი, 27.08.2014 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 24.07.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 30.12.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 23 დეკემბრის დადგენილება №39 - ვებგვერდი, 30.12.2016 წ.



მუხლი 12. მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები

მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭობია; ყოველი მომხმარებელი ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე.

მუხლი 13. საერთო მოხმარების მრიცხველების მქონე საყოფაცხოვრებო მომხმარებლების (მოსახლეობის) მიერ ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის ტარიფები

კომისიის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად საერთო მოხმარების მრიცხველებით დარიცხვისას, საყოფაცხოვრებო მომხმარებლები (მოსახლეობა) ინდივიდუალური მრიცხველის არარსებობის შემთხვევაში, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს იხდიან პირველი საფეხურის (101 კვტსთ ჩათვლით) ტარიფით.

თავი V

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. განაწილების ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) შესასყიდი საბითუმო ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფები

განაწილების ლიცენზიატებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) შესასყიდი საბითუმო ზღვრული ტარიფების (ზედა ზღვარი) ფორმირება მოხდება პირდაპირი ხელშეკრულების საფუძველზე „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ შესაბამისად.

მუხლი 15. დადგენილებაში მოცემულ ტარიფებზე დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) დარიცხვა

1. ამ დადგენილებით განსაზღვრული ყველა ტარიფი გაანგარიშებულია დღგ-ს გარეშე.
2. დღგ-ს დარიცხვა წარმოებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. გატარებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა და ანგარიშგება

განაწილების ლიცენზიატებმა ელექტროენერჯის გატარებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა აწარმოონ განცალკევებულად და შესაბამისი ინფორმაცია ყოველკვარტალურად მიაწოდონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

მუხლი 17. ტარიფების მოქმედების პერიოდი და კორექტირების პირობები

1. საქართველოს ენერგეტიკის სექტორში სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნის უზრუნველყოფის მიზნით წინასწარ განსაზღვრული ფიქსირებული ტარიფების გრძელვადიანი პერიოდისათვის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 24 სექტემბრის №26 დადგენილების მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ტარიფების კორექტირების მექანიზმები გავრცელდეს ამ დადგენილების მე-8 მუხლით დადგენილ ტარიფებზე და მათი მოქმედება განისაზღვროს 2015 წლის პირველ სექტემბრამდე.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სს „ხრამჰესი-2“-ს შორის 2008 წლის 10 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით „იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის – სააგენტოს მიერ, სს „ხრამჰესი-2“-ის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი კრედიტიდან ათვისებული თანხების სახელმწიფოსათვის დაბრუნების შესახებ“ გარანტირებული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, სს „ხრამჰესი-2“-ის ელექტროენერჯის წარმოების გრძელვადიანი ზღვრული ტარიფი (ზედა ზღვარი) ყოველწლიურად გაკორექტირდეს იმ შემთხვევაში, თუ კორექტირების განხორციელებისას, ლარის კურსის ცვლილება იაპონურ იენტან შეადგენს წელიწადში 7%-ზე მეტს, 2016 წლის ლარის იაპონურ იენტან საშუალო გაცვლით კურსთან მიმართებაში (2,1834 ლარი = 100 იაპონური იენი). ამასთან, კორექტირებას ექვემდებარება ტარიფის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული კრედიტის მომსახურებისთვის.

3. სს „ხრამჰესი-1“ და სს „ხრამჰესი-2“-ის შექმნისას განხორციელებული ინვესტიციების გარანტირებული დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით სს „ხრამჰესი-1“ და სს „ხრამჰესი-2“-ის ელექტროენერჯის წარმოების გრძელვადიანი ზღვრული ტარიფების (ზედა ზღვარი) კორექტირება უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან მიმართებაში შეადგენს 7%-ზე მეტს, 2013 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე არსებული პერიოდის საშუალო გაცვლით კურსთან შედარებით (2.0863 ლარი = 1 აშშ დოლარი). ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ტარიფების კორექტირება



ლარის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში ცვლილების გამო განხორციელდეს ოთხჯერ: 2013 წლის 1 ნოემბერს, 2016 წლის 1 ნოემბერს, 2019 წლის 1 ნოემბერს და 2022 წლის 1 ნოემბერს.

4. კორექტირება განხორციელდეს ცვლილების მთელი სიდიდით, ამ დადგენილების მე-17 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ნებისმიერი ფაქტორის დადგომის შემთხვევაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 7 აპრილის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 08.04.2011 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №30 - ვებგვერდი, 31.10.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 31.10.2017 წ.

მუხლი 18. ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით გასაუქმებელი ნორმატიული აქტები

ამ დადგენილების ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილება (სსმ III, 16.05.2006 წ., №66, მუხ. 848);

ბ) „ელექტროენერჯის გატარების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 6 ივლისის №11 დადგენილება (სსმ III, 10.10.2004 წ., №112, მუხ. 997);

გ) „ელექტროენერჯის ცალკეულ მომხმარებელთათვის ტარიფების დადგენის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2003 წლის 26 აგვისტოს №15 დადგენილება (სსმ III, 15.08.2003 წ., №88, მუხ. 759);

დ) „შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ მომსახურების ტარიფის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2006 წლის 4 ოქტომბრის №34 დადგენილება (სსმ III, 04.10.2006 წ., №136, მუხ. 1895);

ე) შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ და შპს „მულტიპლექს ენერჯი ტრეიდინგს“ შორის ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის შესახებ 2008 წლის 14 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის ზღვრული ტარიფის (ზედა ზღვრის) განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილება (სსმ III, 03.09.2008 წ., №129, მუხ. 1301);

ვ) „სს „თელასსა“ და შპს „მულტიპლექს ენერჯი ტრეიდინგს“ შორის ელექტროენერჯის მიწოდების შესახებ 2008 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის ზღვრული ტარიფის (ზედა ზღვრის) განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 30 ოქტომბრის № 30 დადგენილება (სსმ III, 04.11.2008 წ., №159, მუხ. 1602);

ზ) „შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის და სს „ენერგო-პროჯორჯიას“ მიერ ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის შესახებ TGR ENERGY ELECTRICITY WHOLESALE TRADE CO-სთან 2007 წლის 20 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის ზღვრული ტარიფის (ზედა ზღვრის) განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 7 ნოემბრის № 21 დადგენილება (სსმ III, 12.11.2007 წ., №159, მუხ. 1759).

მუხლი 19. დადგენილების ამოქმედება

ეს დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

თავმჯდომარე გ. ჩალაგაშვილი

